№ 236 18 ნოემბერი, შაბათი 1866—1873 18 ნოემბერი, შაბათი № 236

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაღოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაღოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: ერთ ასოებით ასოზე—1 კაპ., ახალ-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

1 ნოემბრიდამ წლის დამლევამდინ

„დროება“

ღირს ოთ ა ნეთად

ხელის-მოწერა შეიძლება თფილისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაღოვის სახლებში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

საქართველო

ღღიური

*** „თფილისის მოამბეში“ მოყვანილია საინტერესო ცნობები იმ ტყეებზე, რომელიც თფილისის გუბერნიაში ეკუთვნის ხაზინას. ამ ცნობებიდამ სჩანს, რომ თფილისის გუბერნიაში სულ 535,004 დესიატინა მიწა უკეთვნის ხაზინასა და აქედამ 79,590 დესიატინა ტყით არის მოცულია.

ამ მამულის გამგეობა (15 სალესნიჩოზედ) და ტყეების დაცვა ხაზინას წელიწადში 30,000 მანეთამდინ უჯდება. რვა წლის განმავალობაში, ე. ი. 1870 წლიდამ 1878 წლამდინ, ყველა ხარჯს გარდა, მთავრობას ამ მამულებიდამ წმინდა შემოსავალი ჰქონია 200,000 (ორას ათას) მანეთამდინ.

*** ბაზ. „მშაკში“ იწერებიან სურამიდამ, რომ ამ თვის 14-ს, ღამის 2 საათზე, აქ და ბორჯომში ძლიერი მიწისძვრა იყოვო, სახლებს ზრიალი გაჰქონდათ, ლოგინზე მწოლარე ხალხი გადმოვარდნენ საწოლიდამაო და სხვ.

*** ახალქალაქიდამ გვწერენ, რომ სოფ. ბარალეთის შკოლის ადრინდელმა მასწავლებელმა უფ. ა. ბერიძემ, რომელიც ახლა ამ შკოლის მზრუნველად არის ამორჩეული, ბევრი მეცადინეობა ახმარაო, რომ ეს შკოლა წარმატებაში შეეყვანაო და მართლაც დიდი შემწეობა მისცა იმას თავის გავლენითა ხალხზე და გონიერ დარიგებითაო. სხვათა შორის, იმის მეცადინეობითა და თაოსნობით, ხსენებულს სოფელში გაუმართავსთ რამდენიმე ოთახიანი პრიუტი (თავ-შესაფარი სახლი), რომელშიაც შკოლიდამ შორს მდგომი შაგირდები ცხოვრებენ და აქედამ შკოლაში დაიარებიანო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ გუშინ, 17-ს, საღამოს, კიდევ დასცემიან ავაზაკები ქაშვეთის ქვემო მაღაზიებს. იმათ გაუტეხნიათ უფ. ე. ხელაძის სტამბის ქვემო სარდაფი და სხვათა შორის ორი სამოვარი და ხუთი ასოს-ამწყობლების საცვალი წაუღიათ, თვითონ სტამბის გატეხასაც აპირებდნენ თურმე, მაგრამ პატრონს შეუტყვია და გაქცეულან. ამას გარდა ერთი ამათგანი უფ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში შევარდნილა და იქ მყოფ უფ. ზ. ჯ—სათვის წაურთმევია პალტო და სამი მანეთი ფული.

ფელეტონი

მოგზაურობა საინგილოში

(ბაგრძელება)

მშვენიერი დღეა, ივლისის დღე. სოფ. ქახის ბარცხენა მხარეს სუფევს ღრმა სიჩუმე. ხანდისხან ღრმა მყუდროებას არღვევს სოფლის ძაღლის ყეფა და არწივის სტვენა.

სამი მგზავრი ერთმანერთში დუდუნით და ჩურჩულით ნელა-ნელა ადიან გორაზე, თითქო სცდილობენ არ დაარღვიონ მყუდროება.

ბორის ძირში მათ გაშინჯეს აგრე წოდებული „ბებრების საძარეები“ მაყვალნარ დაცემული; გაუდგნენ ერთ პატარა ბილიკს და რამდენიმე წამის შემდეგ გაჩნდნენ ქასრის საყდრის ეზოში. ბორა ამ ადგილას სწორდება, რის გამო საყდრის გარშამო წარმოგვიდგენს სწორე მინდორს, სამის მხრით გარემოცულს ღრმა უფსკრულებით, ხოლო ერთის მხრით აწეულ მთით. ეს სწორე მინდორში არის ერთი დიდი ქვევრი, ლექთის ქვევრივით თაღით მოშენებული და ერთიც ოთხ-კუთხიანი თეთრი და თლილი ქვით აშენებული ეკლესია. ეს ეკლესია ქასრის საყდრის ეკლესიად იწოდების საინგილოში.

— დ.! ჩვენს ისტორიებში არაფერი არ არის ამ ეკლესიაზე შენახული? იკითხა ერთმა მგზავრმა.

— სრულიად არაფერი.

— მაშ უწინდელი ნაშთი იგრე უნდა დაიკარგოს, რომ მისი არა ვიცოდეთრა?

— სწორეთ. მისი შემაძრწუნებელი, დამახინჯებული სურათი ჩვენ თითქმის გვაუწყებს ამ ეკკლესიის ხვედრს და გარდასავალს. ეკლესიის დაღრეჯილი მდგომარეობა ჩვენ ცხადად გვეუბნება, რომ მას როდისღაც სწვევია ხელში წერაქვიანი და გრდემლიანი სტუმარი, რომელსაც ამ იარაღებით მისი გვერდები და ზეითური თაღი შეუმტვრევია და ალხან-ჩალხანათ უქცევიათ.

— ეს რცხილა ჩვენ გვატყობინებს, რომ დიდი ხანია ამ ეკლესიის გაოხრება.

— რასაკვირველია, რცხილა ქეც დაბერებულა.

— ამისთანა მაღალ გორაზე რათ აშენებდნენ ნეტავი უწინ ეკლესიებს? როგორ დადიოდნენ მლოცველნი ამ სიშორეზე?

— მიტომ რომ ამ სიმაღლიდგან იგინი მალე დაინახავდნენ ხოლმე მტრის შემოსევას და აქ ამოსვლამდე ქეც შეეძლოთ მიმალულიყვნენ, თუ საჭიროება მოითხოვდა. თვით მოსახლეებიც მაშინ ამ ეკლესიების შორი-ახლო სცხოვრობდნენ.

— მაშ ის რაღას ნიშნავს, რომ სწორეზე ჰპოულობენ უწინდელს მიწაში დაფლილ ქვევრებს, უწინდელ ჭურჭელს, ფულებს, იარაღს და სხვას?

—მე იმას კი არ ვამბობდი, რომ სწორე მინდორში ხალხს არ უცხოვრია თქო. არა. მე იმას ვამბობ, რომ მტერი რომ შამოესეოდა აქაურობას, მაშინ მინდერის ხალხი გორებზე და მაღალ

ᲐᲛ ერთი-ორი კვირის განმავლობაში ეს მეხუთეჯერ არის, რაც ამ დუქნებს თავს ესხმებიან ბაღში დაბუდრებული ავაზაკები. მკონი ამდენი შემთხვევა საკმაო უნდა იყოს პოლიციისათვის, რომ ყურადღება მიაქციოს...

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲖᲐᲥᲐᲗᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲓᲐᲛ 10 ნოემბერს. ჭარის მოლლა-მასწავლებელმა თავისი სიტყვა არ აღასრულა: არამც თუ მოსწავლეებითურთ, მარტო თვითონაც კი არ მოვიდა ჩვენის შკოლის სანახავათ დაპირებისამებრ, როგორც მოგახსენეთ პირველს წერილში (იხ. № 225 „Დროებისა“). ეს პირველი მაგალითი არ არის ბევრჯერ მოტყუებული ვარ მათგან: არაერთხელ დამპირებიან, ჩვენს შვილებს მოგცემთო და ასწავლეთო თქვენს შკოლაშიო, მაგრამ აქამომდე მხოლოდ სიტყვიერად იძლევიან.

მაგრამ კიდევ ვიტყვით: სწავლა მათ ძალიან უყვართ. თუ ეს სურვილი მათში არ იყოს, მაშინ ისე გულმოდგინეთ წერა კითხვას არ ეცდებოდნენ თავიანთ სამშობლო ენაზედ, როგორც ამას ჩვენ ვხედავთ ყოველს ნაბიჯზედ, და მერმე ისეთ ბარბაროსულ მეთოდით, რომელიც ჩვენ ბავშვების დამამახინჯებელ ზნეობ-გონებითად და ხორციელად მიგვაჩნია.

ᲐᲛᲐᲗ ნასწავლებში და თვითონ მოლლებშიაც სახე-მოხსნილ და გულ-ღია პირებს ვერ იშოვნით: ყველა მათგანი ეჭვიანად გვიყურებს ხოლმე. მოლლებს დიდი ძალა და გავლენა აქვთ, როგორც სწავლულ პირებს თავიანთი უსწავლელ ხალხთა შუა. ᲐᲛᲐᲗᲘ ყოველ სიტყვა—სახელითა ᲣᲛᲝᲠᲐᲜᲘᲡᲐᲗᲐ—ხალხისთვინ შეურყეველი ჭეშმარიტებაა. ᲐᲑᲐ მათ განა ეჭაშნიკებათ, რომ გლეხობამ შვილები გამოგზავნოს ჩვენებურ სასწავლებელში?

ᲐᲛᲐᲗᲨᲘ საჭირო არის შკოლების გახსნა ნამდვილი, ხეირიანი მასწავლებლებით. სწავლა უნდა მიდიოდეს მათივე სამშობლო ენაზედ. წიგნების უქონლობა არაფერი საბუთია. თუ ᲣᲐზანის სამასწავლებლო ინსტიტუტი არის გახსნილი მხოლოდ მუსულმანებისთვის და ასწავლის სამშობლო ენაზედ, მაშასადამე წიგნებიც აქვთ მათ შედგენილი მაჰმადიან მოსწავლეებისთვის და განა არ შეიძლება იქიდგან გამოწერა?

ᲒᲐᲠᲓᲐ ამისა ბევრი წიგნები დასჭირდებათ შაგირდებს პირველ-დაწყებითი სწავლის მისაღებად.

ᲙᲛᲐᲠᲐ, კმდარა ამენ ვაი-ვაგლახობაში და დავი-დარაბ-უმეცრებაში ცხოვრების დღეების მიწურვა. ჩვენში არაევინ არის, რომ შემძლე იყოს, მატერიალური შეძლებით და თავის გავლენით მთელი მაჰმადიანობა გამოიყვანოს ველრუის მდგომარეობისაგან, მოგვაცალოს ლაფი უმეცრებისა და გაუნათლებლობისა.

ᲚᲓᲔᲡᲛᲔ დიდებული, ამაყი, ქუდ მოუდრეკელი ᲭᲐᲠᲘ თავის სახელგანთქმულ ხალხითურთ ამ ქამად ყოველის ᲮᲠᲘᲗ დაცემულა და დავარდნილა.

ᲩᲕᲔᲜ ეხლა, მისი შვილები ვდგევართ როგორც ყორანი დავარდნილ ლომის ლეშზედ. სადღა არიან ეხლა ჩვენში ის-პირები, რომელთაც შეეძლოთ ერთის სიტყვით მთელის მაზრელების თავის მოყრა და იმ გვარ განჩინების დადგენა რაც იყო უწინდელს დროს, ისეთი პირები, რომელთაც მოსაზრებული წინადადება მთელს მაზრელებს მიაჩნდათ შესრულებულ საქმედ?! ᲓᲐᲔᲪᲐ სული და გული მაზრისა გაქრნენ, აღარ არიან ᲭᲐᲠᲔᲚᲘ ᲑᲘᲭᲕᲔᲑᲘ“—ეს მარდი, პირდაპირი, როგორც მათივე ამხანაგი ხანჯალი, (სიმბოლო პირდა-პირობისა), გონე- მახვილოვანი ვაჟკაცები..

ᲓᲠᲝ გამოიცვალა, მაგრამ მომეტებულად შეიცვალა თვითონ ᲭᲐᲠᲔᲚᲘᲪ, ორპირად და გაიძვეოდ ᲓᲐᲛᲘᲡᲘᲡ ეხლა ის ვაჟკაცია, რომელიც უფრო ქიშპია.

ᲘᲒᲘ დასცა ყველაზედ პირველად ჩარჩი-მჯილმა რომელნიც აქ მოწვეულნი არიან ამ ოც-და-ათის წლის წინეთ მაზრის პიონერებად, განმანათლებლად. ᲘᲡ „ᲭᲐᲠᲔᲚᲘ ᲑᲘᲭᲘ,“ რომელსაც გაჭირვების დროს შეეძლო ას კაცისთვინ პასუხის გაცემა, ამ უკანასკნელ შვიდ-რვა წელიწადში რომელიმე ჩარჩი-მჯილის ხელში მონა და მუნჯია. მოგიხსენებათ ამათ ხელში რა მდგომარეობაშიაც არიან ინგილოები; მაშ რა მდგომარეობაში უნდა აყვნენ ᲭᲐᲠᲔᲚᲘᲔᲑᲘ? ᲭᲐᲠᲘᲚᲘ ვაჭრები ას წილად უსინინდისონი არიან, და ას წილადვე უცუდეს მდგომარეობაში არ უნდა იყვნენ ᲭᲐᲠᲔᲚᲘᲔᲑᲘ ინგილოებზედ?!

ᲔᲡ ცარცვა და დარბევა არ მოსპობილა და არც მოისპები, სანამ ᲭᲐᲠᲔᲚᲘᲔᲑᲡ და ᲑᲔᲚᲐᲥᲜᲔᲚᲔᲑᲡ არ ეყოლებათ სასწავლებლებში აღზრდილი შვილები.. ᲐᲥ ასი უუ. ᲑᲝᲚᲨᲔᲚᲐᲕᲡᲙᲔᲑᲘᲪ რომ იყვნენ, ვერას გააკეთებენ ხალხის უცოდინაროობისა და ღრმათ ძილში მიცემულობისა გამო.

(Დასასრული შემდეგ №-ში)

ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲓᲔᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲨᲘ“ დაბეჭდილია შემდეგი ორი დეპეშა 10 ნოემბერს ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲓᲐᲛ მიღებული:

„ᲩᲕᲔᲜᲘ (ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ) ᲯᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲐᲓᲒᲜᲔᲜ ᲐᲚᲘᲛᲐᲡᲯᲘᲓᲡ, დააყენეს ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲜᲔᲑᲘ და გუშინ დილით დაიწყეს სროლა. ᲐᲕᲒᲐᲜᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲑᲐᲢᲐᲠᲔᲔᲑᲛᲐ (ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲜᲔᲑᲛᲐ), რო-

---

ადგილებზე ადიოდა, სადაც მტერს თვითონაც ეშინოდა ასულიყო და ტყვილათაც ავიდოდა. მტერი არბევდა მინდორში მცხოვრებ ქართველის სახლ-კარს, სწვავდა ყველაფერს და მიდიოდა. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ კიდე ჩამოდიოდა და აშენებდა ხელ-მეორედ თავის მამულს, მაგრამ მტერი კიდე მალე ეწვეოდა ხოლმე.

— ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲔᲓᲔᲗ ერთი აქედგან; შეხედეთ მარჯვნივ, მარცხნივ და აღმოსავლეთისკენ! რა გვარი ჩინებული და დიდებული პანორამა უდგება კაცის თვალს აქედგან! სთქვა ერთმა, რომელიც აქამდე ღრმად იყო ჩაფიქრებული და გაჩუმებული.

ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲕ ხედავენ სოფელ ᲥᲐᲮᲘᲡ თავს და ᲥᲐᲮᲘᲡ თავის მინდვრებს, რომლებშიაც გამწკრიეებულან ძოროები და სძოვენ. ᲘᲥᲐᲕᲔ ხედავენ ერთს პატარა ციხეს, რომელიც რუსებმა აეშენეს ლეკების მოპირდაპირეთ. ᲐᲛ მინდორში მიკლაკნავდა ერთი გზა, რომელიც ᲘᲚᲘᲡᲝᲡᲙᲔᲜ და ᲓᲐᲚᲘᲡᲢᲜᲘᲡᲙᲔᲜ მიდიოდა. ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ მხარეს სოფ. ᲥᲐᲮᲘᲡ გვერდით მდ. ᲭᲣᲠᲛᲣᲮᲘᲡ იქით დაინახეს მდაბალი მთა, რომლის კეფაზე თეთრათ მოჩანდა სოფელი მალაღი.

ᲐᲛ მდის ბოლოში, დასავლეთის მხარეს, იყო წმ. ᲑᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲭᲣᲠᲛᲣᲮᲘᲡ საყდარი. მარცხენა მხარეს ხედავდნენ მთელს ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ ველს, რომელიც ტყეებით მწვანეთ იყო შეღებილი. ᲐᲛ ტყეებში შიგა-და-შიგ მოჩანდა სოფლები. ტყის შუაში მიიკლაკნებოდა შოდუდუნე და ხან ჩუმი ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘ. ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘᲡ იქით შირაქის მინდვრები მოჩანდა, როგორც ხელის გული.

ᲗᲕᲘთ მამაკვდავიც, სწორეთ გითხრათ აღტაცებაში მოვიდოდა იმ სურათის დანახვით და მის შთაბეჭდილების ქვეშ.

— წავიდეთ ახლა ზევიოკენ, ჯერ ბევრი სავალი გზა გვიდგა! ᲑᲝᲚᲝᲡ წამოიძახა უფროსმა.

ᲓᲐᲐᲓᲒᲜᲔᲜ იმავე ბილიკს, რომელიც მაღლა გორაზე ადიოდა და წავიდნენ.

ᲘᲐ მთა არ იყო იგეთი ტიტველა და გულ-ამაცრუებელი, რა გვარაც მთა-წმინდის და შირაქის მთებია, არამედ იგი იყო ხე-ტყით მოსილი ტყეში იყო ყოველგვარი ხე, მხოლოდ მომეტებული ნაწილი მუხა და რცხილა.

ᲑᲘᲚᲘᲙᲛᲐ მალე მოიყვანა იგინი ერთ განადგურებულ და აოხრებულ ეკლესიასთან. ჩვენში ამ ეკკლესიას უწოდებენ ᲭᲐᲜᲓᲐᲠᲐ საყდარს. მტერს ფესვიანად ამოეგლიჯა იმ ეკკლესიის კედლები, რომ ყოველი ნიშანი მისი დაკარგულ იყო. მაგრამ მგზავრებმა მაინც იპოვეს იმისთანა ნიმუშები, რომლებიც ცხადად უჩვენებდნენ მათ, რომ ეს ყოფილა ეკკლესია.

— ᲐᲛ ᲭᲐᲜᲓᲐᲠᲐ საყდრის გზა საიდგან ყოფილა?

— ᲔᲮᲚᲐ ჩვენ პატარა ბილიკზე რომ მივედით, ᲥᲐᲡᲠᲘᲡ საყდრიდან იქიდგან. ᲔᲡ ბილიკი უწინ, როგორც ᲥᲐᲡᲠᲘᲡ საყდრის ბილიკი, ყოფილა დიდი შარა გზა ამ გორაზე გაყვანილი. ხოლო ეხლა-და-ეხლა დაპატარავებულა და ეს ბილიკი კი დარჩომილა იმ გზის მაგივრათ.

(Დასასრული შემდეგ №-ში)

მელნიც კარგად, ევროპიულად იყვნენ დაყენებული, სამაგიერო სროლა დაგვიწყეს, მაგრამ სრულიად ვერა გავენეს-რა.

„ავგანელების ჯარმა მიატოვა ალიმასჯიდი დღეს ღამით მის შემდეგ, რაც ღენ. ტაიტლერის ბრიგადამ მეორე მხრით მოუარა მტრის პოზიციას და მარჯვე ადგილები დაიჭირა. ჩვენმა ჯარებმა დღეს უბრძოლველად დაიჭირეს ალიმაზჯიდი.“

—საინგილო ინდოეთის ვიცე-კოროლმა ლორდ ლიტტონმა, ომის დაწყებისა-თანავე, გამოსცა პროკლამაცია ავგანისტანის მოსამზღვრე ხალხებისათვის, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვებია მოყვანილი:

„უველა ღონის-ძიება იხმარა ინგლისმა, რომ უბრძოლველად, მშვიდობიანად გაეთავებინა ავგანისტანთან ის განხეთქილება, რომელიც დიდი ხანია ამტყდარია იმასა და ინგლისს შუა. მაგრამ ყოველ იმის მოცადინეობამ ამაოდ ჩაიარა, და იძულებული შეიქნა, რომ ომით აასრულებინოს ავგანისტანს ის, რაც ნება-ყოფლობითა და მეგობრობით ვერ შეასრულა.

„ინგლისი არ შეეხება ავგანისტანის დაუმოკიდებლობას; მაგრამ ვერც იმას მოითმენს, რომ რომელიმე სხვა სახელმწიფე ბატონობდეს ამ ქვეყანაში“.

ჩერნოგორია

„პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ იწერებიან ცეტინიედამ, რომ ჩერნოგორიას იმ თავითვე, როცა შეატყო, რომ ოსმალეთი არ ასრულებს ბერლინის კონგრესსის გარდაწყვეტილებას და არ უთმობს იმას ამ კონგრესსისაგან მიცემულ ადგილებს, უნდოდა ხელ-ახლად ომი გამოეცხადებინა ოსმალეთისათვის, მაგრამ ჩერნოგორიის მთავარი ნიკოლაი რუსეთის იმპერატორმა შეაჩერა, იმან ურჩია, რომ სამხედრო მოქმედება დროებით შეეჩერებინა. მაგრამ ჩერნოგორია ამ ზამთრისათვის მაინც საომრად ემზადებაო.

ოსმალეთი

რუსული გაზეთის „ტელეგრაფის“ სიტყვით, რუსეთში სულ 58,000 ოსმალოს ტყვე ყოფილა. ამ რიცხვიდამ 53,000 კაცი უკვე დაუბრუნებიათ უკან; დანარჩენ 5,000 კაცსაც ამ მოკლე ხანში გზავნიან სტამბოლში.

საგაასო

უ. ივ. აბაშიძეს.

„დროების“ მე-236 №-ში დაბეჭდილია უ. ივ. აბაშიძის პასუხი ჩემს წერილზე. მიბოძეთ ნება ორიოდე სიტყვა კიდევ მოვახსენო იმას ამ პასუხზედაც.

ბეტყობათ, უ. აბაშიძე, გწყენიათ რომ მეც ამალაპარაკა „ივერიაში“ დაბეჭდილმა წერილმა, და როგორც უ. ი-აძე, ისე მეც ქუჩის ბიჭების კატეგორიაში ჩაგირაცხავართ.

თქვენ კი ამბობთ, რომ მე გაგლანძღეთ. სად და როდის? ბეჭდვით, თუ ისე სადმე კერძო საზოგადოებაში? ჩემს წერილში ერთს უკადრისს სიტყვას ვერ იპოვით თქვენზე: მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რადგან თქვენ ამჟამად ძრიელ გაწყრომატებული ხართ, გამარჯობაც რომ ვინმემ გითხრასთ, ლანძღვა გეგონებათ.

პირდაპირ საქმეზედ გადავიდეთ.

მთელი თქვენი პასუხის განხილვას არ შევეხები, რადგან ისევ ჩემი პირველი წერილის განმეორება დამჭირდება. მე ისევ იმას აღვიარებ, რომ რაც ესთქვი (თუ მეტს არა..) იმას მე თქვენ მაშინ დაგიმტკიცებთ, როდესაც თქვენ წარსდგებით სცენის მოყვარეთა წინ თქვენის ანგარიშებით და ფულიანი ყუთით.

თქვენ ამბობთ, რომ უუ. კ. მესხს და ა. ჭიჭინაძესაც აქვს სცენის ფულიო 80 მან. ა. ჭიჭინაძის რა მოგახსენოთ, იმან თვითონ იცის თავის ანგარიში, თუმც, რამდენათაც მე ვიცი და გამიგონია, ალ. ჭიჭინაძეს სცენის ფული მაშინ გაეგზავნა (რუსეთში), როდესაც, გონივრულად გაწყობილს ქართულის სცენის მოყვარეთა წრეზე ხსენებაც არ ჰყოფილა ძუთაისში და ეს ფული ესესხა უ. ჭიჭინაძეს ხელ-წერილით, რომლითაც ის ვალდებულია მოთხოვნილებისა-და-გვარად გარდიხადოს.

რაც შეეხება იმას, რომ მეც მაქვს სცენის ფული, ამაში თქვენ მართალი ბრძანდებით. მე მაქვს ცხრა მანეთი ამ წლის 3 სეკტემბრის წარმოდგენის ნისია, იმ წარმოდგენის ნისია, მაშასადამე, რომელიც ახალი წრისაგან იყო გამართული და რომლის საქმეებზედაც გულმტკივნეულობა თქვენ ისე შეგეხებათ, როგორც მე ჩინეთის იმპერატორის ავათმყოფზე. თუ დავკარგე ნისია, მე ყოველ შემთხვევაში შემიძლიან შევიტანო 9 მან. ახალი წრის კასსაში. თქვენ კი ოთხი წელიწადია ასობით გიწყვიათ ყუთში სცენის ფულები! დაანაბიანეთ. ანგარიშს გთხოვთ; საქმის ხლართავთ, აჭიანურებთ და ყუთი კი სცენის ფულებით, არ იქნა, ვერ გაგახსნეევინეთ. ალბათ კასსის სეკრეტი დაგვიწყნიათ... და რა გასაკვირველი იქნება ოთხი წლის განმავლობაში დაგვიწყებოდეთ...მს ერთი.

მეორე ისა, რომ თქვენ ამბობთ: „სანამდისინ სახელდობ არ იტყვიან თუ ვის აქვს კიდევ სცენის ფულები და მათ ანგარიშს არ წარმოადგენენ, მანამდისინ ერთს ფარასაც ვერ მიიღებენ ჩემგან!!“ ამ თქვენმა დარბაისლურმა სიტყვებმა ერთი სასაცილო ამბავი მომაგონა ჩვენი მოსწავლეების ცხოვრებიდამ. ბიმნაზიაში მყავდა ერთი ზარმაცი ამხანაკი. არასოდეს არ იცოდა იმან არითმეტიკის გაკვეთილები. ერთხელ ჰკითხა მასწავლებელმა გაკვეთილი და აბა რას შიუგებდა, რომ წიგნშიაც არ ჩაეხედნა.

— რატომ არ იცი გაკვეთილი?— ჰკითხავს მასწავლებელი.

— არამც თუ მე, არამედ არავინ არ იცისო!—მიუგო შეგირდმა..

არა ჰკავს ამ პასუხს ... ქვენ ... მოყვანილი სიტყვები? რა ... ქვენ ... ბ, შენი ჭარიმე, სხვებისაგან ანგარიშს დაფულს მივიღებთ, თუ არა? თქვენ მოგვეცით ეს ფული, თქვენ შეასრულეთ თქვენი ზნეობითი მოვალეობა და სხვებს რას დასდევთ! „სხვები ქურდები არიან და მეც ვქურდობო!“—ქურდმა რომ სთქვას თავის გასამართლებელად, შეეწყნარებელი იქნება განა?

თქვენ ამბობთ, რომ 85 მან. უფასო შკოლას (ძუთაისში) უნდა გარდასცეთ და დანარჩენი თფილისის ბანკში (რომელში?) უნდა შეიტანოთ. ვინ მოგცათ ამის ნება?

თქვენ იყავით ამორჩეული ფულის შემნახველად და არა აქეთ-იქით დამრიგებელათ. თფილისის ბანკში ვის სახელზე შეგაქვთ დანარჩენი ფულები? თქვენს სახელზე, თუ სცენის? რატომ ამ ფულების დარიგებაში მაინც იმ ორ კაცს არ დაეკითხეთ (უ.უ. ანტ ლორთქიფანიძეს და ივ. მესხს), რომელნიც თქვენთან იყვნენ ამორჩეულნი სცენის საქმეების გამგებელათ?

უკანასკნელი შენიშვნა: როდის იყო, რომ თქვენ ანგარიში და ფულები შემოიტანეთ და ჩვენ ანგარიში მივიღეთ და ფულის მიღებაზე კი უარი გითხარით? „აირეულნი შემთხვევაა“, თქვენმა მზემ!! ფულს იძლეოდა და ჩვენ კი უარს გეუბნებოდით იმის მიღებაზე!? ჩვენ კი ისე გვახსოვს, რომ მარტო მშრალი ანგარიში მოგვეცით და ფულები კი შინ დაგრჩენოდათ ... ყუთში ... ბაამზეურეთ, გაამზეურეთ, თორემ ობი ექნება მოდებული!

მე ვასრულებ თქვენ თხოვნას და გიგზავნით იმ ხუთს კაცს, რომელსაც ანგარიშიც და ფულიც უნდა ჩაბარონთ. ესენი არიან: ან. იაკ. ნიკოლაძე, ან. ნ. ლორთქიფანიძე, ივ. პ. ზაიანი, ივ. ს. მესხი და ალ. ბ. ჭიჭინაძე. დარწმუნებული ვარ, მაშინდელი წრის წევრთაგანი არავინ არ იქნება ამ პირების წინააღმდეგი.

კ. მესხი

ძუთაისი, 13 ნოემბერს

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 16 ნოემბერს. პარლამენტი 5 ქრისტეშობისთვეს უნდა შეიკრიბოს.

ლაგორი, 15 ნოემბერს. ღენერალ რობერტსის ჯარებმა ფურეალჯილზე გაიარეს და გავიდნენ ფურუშის მინდორზე. ამ ადგილების წარჩინებული მცხოვრებლები დიდის პატივის-ცემითა და ამბით მიეგებნენ ინგლისის ჯარებსა. ფურუშის ციხე ძლიან დაზიანებულია; იმის გარნიზონი პეიავარში გაიქცა, საცა ბრძოლას მოელიან.

პეტერბურღის ბირჟა, 17 ნოემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	96	87
მეორესი — — — —	95	25
მესამესი — — — —	95	25
მეოთხესი — — — —	95	12
აღმოსავლეთის პირ. —	92	— „
აღმოსავლეთის მეორე —	91	12
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8	45
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — — „ — „		

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	233	25
მეორე სესხის — — —	228	— „

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	23	5/16	პენსი
ამსტერდამი — —	118	— „	ცენტი
პერლინი — — —	200	— „	პფენიგი
პარიჟი — — —	246	50	სანტიმი
ქაქაკასიის კერასინი — „ —	„	—	

განცხადებანი

ქალაქის გამგეობისაგან

რადგან დანიშნულ დროს, 15 ნოემბერს, არ აღმოჩნდნენ მსურველები, რომელთაც ეკისრათ შეშის მოტანის იჯარით აღება მეტეხისა და საპყრობილისათვის; აგრეთვე მთავარ სატუსაღოს საყარაულოსათვის, ჟანდარმის გაბგეობისა და ცხენოსან ჟანდარმების კამანდისათვის, ამის გამო ქალაქის გამგეობა ხელ-ახლად ნიშნავს ამ საგანზე ვაჭრობას ამა წლის ნოემბრის 25-სთვის და ამაზედ საყოველთაოდ იცხადებს.

3—1

გამოვიდა და ისყიდება თფილისში, მხოლოდ ზაქარია გრიქუროვის ქაქაზიის საწიგნო მაღაზიაში, ახალი წიგნი, ლიტოგრაფის ყდითა (სურათითა):

„სახალხო მეჯ-ლისი“

სხვა და სხვა ახალი სიმღერები

თქმული

გიორგი ი. სკანდარ-ნოვისაგან.

ფასი 30 კაპეიკი,

მხოლოდ ნარდათ მყიდველთათვის შეიძლება ფასის დაკლება.—იქავე ისყიდება აგრეთვე „ანბანი“ ი. ბოგებაშვილისა. ფასი 10 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაევის სამ-მოქმედებიანი კომედია; „რძალი, ფული და მაშინიკები„—თფილისში: ბრიქუროვის, ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

ვლადიკავკაზს: ბორგი ბარათოვთან, ბორში: ზაქარია დონდაროვთან, ცხინვალში: თ. ვანო თაქთაქოვთან, საქაშეთს: თ. ნიკო დიასამესწინ მეჯვრისხვევს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, ქუთაისს: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და დ. ბოკერიასთან, სამტრედიას: იორდანე სიხარულიძესთან, ფოთში, ელიზბარ ბაბალოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუთაევის მეორე კომედია.—„ოღლი ვიტირო, თუ ფული?“

(6—3)

იქავ ისყიდება იმისივე

„იგავ-არაკნი“

ბამოკრებილნი საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუიდამ“ და გალექსილი თ. რაფ. ერისთვისაგან.

ფასი ორი შაური.

ვართანოვის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან, მეორე შესწორებული გამოცემა. ფასი ექვსი შაური, ყდაში გადაკრული ცხრა შაური. თუ რომელიმე შკოლა იყიდის ერთათ ოც-და-ათ ეგზემპლიარსა, ან რომელიმე კერძო პირი ასსა, ეგზემპლიარი დაეთმობა უყდო ხუთ შაურათ, ყდიანი ორ აბაზათა.

ბუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი, დაბალ კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით და საქართველოს კარტით; ფასი ხუთმეტი შაური. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათ, ვინც ერთათ იყიდის თხუთმეტ ეგზემპლიარსა,—ცამეტ შაურათ, ვინც ერთათ წაიღებს ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა. ისაც ჰაურს ყდაში გადაკრული ვიღოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

საუმაწვილო კონა პირველ დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, გამოცემა პირველი, ფასი ექვსი შაური.

პატარა ბიბლიოთეკა, პირველი წიგნი, შეიცავს სამს საუმაწვილო მოთხრობასა; ფასი ორი შაური.

აქვე ისყიდება ყველა ქართული და რუსული სახალმძღვანელო წიგნები. (10—4)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი . . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	5[illegible]			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი . . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა . .	1	18	ღამე.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი . .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:

	მან.	კაპ.
ქაქაზიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბულს, ვარშავას	2	—
ოსმალეთშ., შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქაზეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (ხამი მისხალი) .	8

მაზანდა

თფილისი, 16 ნოემბერს.

	მან	კაპ
ფქვ. თეთ. ბანჯგვლა, ფუთ.	2	—
ფქვილი წითელი . . .	1	50
ქერი ფუთი	1	30
ბამბა მრეული, ფუთი .	6	50
— ამერიკული, ფუთი . .	7	30
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი.	8	50
— თარაქამისა ფუთი . .	4	60
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	—
ქონი, ფუთი	5	50
ქონის სანთელი ფუთი .	6	80
სტეარინის სანთელი, ფუთ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	40
—ფხვნილი ფუთი . . .	6	40
ყავა გრგვალი, გრვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი	12	80
თამბაქო, ხაშურული ფუთ.	6	8

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარლეევი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბ ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 17 Ноября 1878 г. Типографія Меликова. ბამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.